

შპს „ფორმაქსი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5

შპს "ფორმაქსი"

ფინანსური ანგარიშგება 2023 წ 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

გაანგარიშების ერთეული : ქართული ლარი

✓ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31.12.23 წ
აქტივები	
ფულადი სახსრები	104629
სასაქონლო მატერიალური მარაგები	1825892
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	424833
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	134809
ძირითადი საშუალებები	3013356
სულ აქტივები:	5,503,519
ვალდებულებები და კაპიტალი	
ვალდებულებები	3599831
სავაჭრო ვალდებულებები	2337490
ავანსად მიღებული შემოსავლები	1193791
მოკლევადიანი სესხი	68550
კაპიტალი	1,903,688
საწესდებო კაპიტალი	1412078
გაუნაწილებელი მოგება	491610
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	5,503,519

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2023 წლის 31 დეკემბრის.

დირექტორი:



მთ. ბუღალტერი:



ზვიადი გოგლოშვილი/

/ბეკა ბენდიანიშვილი/

6-15 გვერდზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "ფორმაქსი"

ფინანსური ანგარიშგება 2023 წ 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

გაანგარიშების ერთეული : ქართული ლარი

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	31/12/2023
ნეტო ამონაგები	
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან	3,071,980
სხვა	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,319,023)
საერთო მოგება	1 752 957
დასაქმებულთა ანაზღაურება	(851 117)
ცვეთა და ამორტიზაცია	(185 560)
საპროცენტო ხარჯი :	
იჯარის ხარჯი	(51 876)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(178 899)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,267,452)
საოპერაციო მოგება	485 505
არასაოპერაციო შემოსავალი	1,044,057
არასაოპერაციო ხარჯი	(1,030,680)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(7272)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	491 610
მოგების გადასახადი	
მოგება/(ზარალი)	491 610

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2023 წლის 31 დეკემბერს.

დირექტორი:




/ხელადი გადამდგომი/

მთ. ბუღალტერი:



/ხელადი გადამდგომი/

5-15 გვერდზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ფორმაქსი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წ 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

გაანგარიშების ერთეული : ქართული ლარი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

31/12/2023

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი 2023)	1 147 078
საკუთარი კაპიტალი	265 000
გაუნაწილებელი მოგება	491 610
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 903 688

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2023 წლის 31 დეკემბერს.

დირექტორი:



მთ. ბუღალტერი:



5-15 გვერდზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განმარტებას.



განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის რეგისტრაციის თარიღი: 10.04.2023.

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 406412118.

მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო.

დამფუძნებელი - შპს "კაპიტალ კომპანი 2" - წილი კომპანიაში 50%; შპს "ემბიჯი პროდაქშენ - წილი კომპანიაში 50 %.

დირექტორი : ზვიადი გაგლოშვილი, პ/ნ:01016001604 ;

კომპანიის იურ. მისამართი: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა #20ა

კომპანიის ფაქტიური მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, იუმაშევის #18.

კომპანიის ფუნქციონირების სფეროს წარმოადგენს: სამშენებლო საყალიბე სისტემების და მისი დამხმარე აქსესუარების წარმოება და რეალიზაცია

სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მცირე და საშუალო ბიზნესის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები ("ბალანსი"), რომელიც უზრუნველყოფს ოპერაციების სინთეზურ და ანალიზურ აღრიცხვას ბუღალტრული ანგარიშების მიხედვით.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ერთეულს წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული "ლარი".

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფციალური გაცვლითი კურსი

კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	აშშ დოლარი 2,6894	ევრო 2,9753
-----------------------------------	----------------------	----------------

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2023 წელი
ნაღდი ფული სალაროში	477
ფული საბანკო ანგარიშზე	104152

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის კომპანიის დებიტორული დავალიანებები, რომელიც წარმოექმნება კომპანიას სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან ურთიერთობებისას. მოთხოვნები თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპანიის აქტივს, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას ბევრი სხვა მიზეზის გამო: პროდუქციის მიწოდება, სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა და სხვა.

აქტივები და ვალდებულებები

აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირდება მოკლევადიან და გრძელვადიან აქტივებად და ვალდებულებად

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც მოსალოდნელია მისი გამოყენება ან რეალიზება 1 საანგარიშო წელზე ნაკლებ ვადაში და მისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

გრძელვადიანია აქტივი, რომლის გამოყენებაც მოსალოდნელია 1 საანგარიშო წელზე მეტი ვადით და მისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. (რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები). სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს: შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეძენა ხორციელდება, როგორც იმპორტით, ასევე ადგილობრივი მომწოდებლებისგანაც.

სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდია უწყვეტი. თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები: შეძენილი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნაყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟის და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალება აღირიცხება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ძირითად საშუალებაზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ როდესაც შეიძლება მისი გამოყენება, ანუ აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია იმ მდგომარეობაში რომ შესაძლებელი იყოს მისი ექსპლუატაცია. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მაშინ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება: გაყიდვის/ გასვლის

შემთხვევაში, ან როდესაც მისი გამოყენებიდან და გაყიდვიდან ეკონომიური სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი. ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალება აღირიცხება წარჩენი ღირებულებით. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში, გარდა იმ ძირითადი საშუალების, რომელიც გამოყენებულია პროდუქციის წარმოებისთვის.

კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, ვინაიდან იგი ასახავს ამ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიური სარგებლის გამოყენების ხასიათს.

სასარგებლო მომსახურების ვადა

წელი

ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	5
სატრანსპორტო საშუალებები	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3
დანადგარები	5-10
ინსტრუმენტები	3

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს როგორიცაა: კომპანიის მიერ აქტივის გამოყენების რეჟიმი; სავარაუდო ფიზიკური ცვეთა; ტექნიკური და ფიზიკური მოძველება.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რა პერიოდშიც აქტივის აღიარების შეწყვეტა მოხდა. უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით.

არამატერიალური აქტივები:

არამატერიალური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. შემენილი არამატერიალური აქტივის თვითღირებულება მოიცავს: ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს, აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის.

არამატერიალურ აქტივებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით. სასარგებლო გამოყენების ვადა განისაზღვრება 5-10 წელით. კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივი ფასდება თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, ანუ როდესაც აქტივი იმყოფება, სათანადო ადგილას სამუშაო მდგომარეობაში.

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით.

კომპანიის დამფუძნებლების მიერ შეტანილი საწესდებო კაპიტალი 2023 წლის დასრულებული წლისთვის შეადგენდა 1 412 078 ლარს.

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი შპს ფორმაქსს არ ჰქონია. 2023 წლის დასრულებულის წლისათვის გაუნაწილებელი მოგება შეადგენს 491 610 ლარს.

შემოსავალი და ხარჯები

შემოსავლები და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით.

შემოსავლების აღიარება ხდება, მაშინ როდესაც კომპანიას აქვს სამართლიანი საფუძველი შემოსავლის ასაღიარებლად. საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები, შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

მოგება/ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლობის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული

შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო: დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები: კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგება ზარალში როდესაც იგი გაწეულ იქნა.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით.

მოგება-ზარალი

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას.

მოგების გადასახადი: საქართველოს კომპანიების წლიური მოგება (გარდა ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სადაზღვევო კომპანიების) 2017 წლის 01 იანვრიდან არ იბეგრება. ამ ცვლილებამ განაპირობა რომ საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობა: გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება. (სააღრიცხვო მოგებიდან გაანგარიშებულ საგადასახადო ხარჯსა და საგადასახადო დასაბეგრი მოგებიდან გამომდინარე ბიუჯეტის კუთვნილი მოგების გადასახადს შორის სხვაობა). კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ „ესტონური მოდელით“. დასაბეგრ ბაზას წარმოადგენს გაცემული დივიდენდები და მასთან გათანაბრებული განაცემები, აგრეთვე გადახდები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო კოდექსით არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას.

მოგება-ზარალის აღიარება ხორციელდება საანგარიშგებო წლის ბოლოს შემოსავლებისა და ხარჯების გადახურვის გზით.

პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის მატერიალური ზიანის წარმოქმნა. შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2023 წ
ფული საღაროში (ლარი)	477
ეროვნული ვალუტა რეზიდ. ბანკში	103 965
უცხოური ვალუტა რეზიდ. ბანკში	187
სულ:	104 629

2. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31.12.2023 წ
საქონელი	194 432
სხვა მარაგები	1 631 460
სულ:	1 825 892

3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2023 წ
სავაჭრო მოთხოვნები	559 642
სულ:	559 642

4 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ფულადი ერთეული - ლარი

	31.12.2023	
	ლირებ.	ცვლილება
ავიჯი და სხვა ინვენტარი	1 147	241
ოფისის აღჭურვილობა,	3 959	494
მანქანა-დანადგარი	2 879 161	138 007
სატრანსპორტო საშუალება	47 193	1421
სხვადასხვა ინვენტარი	15 743	1 112
ინსტრუმენტები	250 805	43 377
სულ ჯამი:	3 198 008	184 652

5. სასესხო ვალდებულებები

	31.12.2023წ
გრძელვადიანი სესხი	-
მოკლევადიანი სესხი	68 550
სულ:	68 550

6. კაპიტალი

	31.12.2023წ
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1 412 078
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	491 610
სულ საკუთარი კაპიტალი	1 903 688

7. საერთო მოგება

	2023 წ.
საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი	3 071 980
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(1 319 023)
საერთო მოგება	1 752 957

8. სულ ჯამური საოპერაციო ხარჯები:

2023 წ.

ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	(5 078)
შრომის ანაზღაურება	(851 117)
სხვადასხვა მომსახურებები	(79 090)
იჯარის ხარჯი	(51 876)
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(185 560)
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	(27 078)
მივლინების ხარჯები	(1 757)
სხვა საერთო ხარჯები	(65 896)
სულ:	1 267 452

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.